განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მსოფლიო სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფია“

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

11,12,13 ნოემბერი, 2021 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი
7 დეკემბერი 2021 წელი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფია
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	საზოგადოებრივი გეოგრაფიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	**სოციოლოგია და კულტურის კვლევები - 0314**
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული **11.11.11; გადაწყვეტილება № 282**

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნოდარ ფოფორაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თათია დოღონაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	შორენა წიკლაური, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირმა ქურდაძე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვლადიმერ ბერაია, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (ყოფილი „საზოგადოებრივი გეოგრაფია“), აკრედიტებულია და ხორციელდება 2005 წლიდან. საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამამ ბოლო აკრედიტაცია გაიარა 2011 წელს (11.11.2011; გადაწყვეტილება № 282). პროგრამის შექმნიდან დღემდე, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი, ბაზრის არსებული მოთხოვნების, სტუდენტთა მოთხოვნების და სხვა ინოვაციების შესაბამისად ახორციელებს საქმიანობას. პროგრამა ეფუძნება აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების ძირითად მოთხოვნებს და აკმაყოფილებს უნივერსიტეტის ფარგლებში საბაკალავრო სწავლების მინიმალური სტანდარტის პირობებს და საერთაშორისო სტანდარტებს.

სწავლების ფორმაა - დასწრებული სწავლება. პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 4 აკადემიური წლისა (8 სემესტრი), ხოლო მოცულობა - 240 ECTS კრედიტი. კრედიტების განაწილების პრინციპი:

120 კრედიტი – ძირითადი სპეციალობა: ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსები -85კრედიტი (მათ შორის, 10 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომი) და ძირითადი სპეციალობის არჩევითი კურსები - 35 კრედიტი (ECTS); **60 კრედიტი** – დამატებითი სპეციალობა (Minor) ან სხვა სასწავლო კომპონენტები საუნივერსიტეტო კურიკულუმიდან; **50 კრედიტი** – საფაკულტეტო სასწავლო კურსები, მათ შორის: საფაკულტეტო სავალდებულო კურსები - 25 კრედიტი, საფაკულტეტო არჩევითი კურსები – 10 კრედიტი, საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსები – 15 კრედიტი. **10 კრედიტი** – თავისუფალი კრედიტები.

პროგრამა მიზნად ისახავს უზრუნველყოს შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროფესიონალი მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფის ჩამოყალიბება.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია და ასახავს იმ ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობას, რაც განსაზღვრულია ეროვნულ კვალიფიკაციათა

ჩარჩოს მე-6 დონის აღმწერით და მოცემულია სწავლების სფეროს კლასიფიკატორის შესაბამის სფეროში. პროგრამის ხანგრძლივობა 4 წელია და ითვალისწინებს 240 კრედიტის ათვისებას (მათ შორის პრაქტიკა).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტის შესახებ საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 1 ნოემბრის ბრძანების №1169547 შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა შემდეგი შემადგენლობით: ნოდარ ფოფორაძე (თავმჯდომარე), თათია დოღონაძე (წევრი), შორენა წიკლაური (წევრი), ირმა ქურდაძე (წევრი), ვლადიმერ ბერაია (წევრი) შეისწავლა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, 12 და 13 ნოემბერს განახორციელა ონლაინ ვიზიტი ZOOM ინტერფეისის გამოყენებით, კითხვა-პასუხის რეჟიმში დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ხოლო 11 ნოემბერს განხორციელდა ვიზიტი ადგილზე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ბიბლიოთეკის დათვალიერების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა „მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფიის“ საბაკალავრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

ვიზიტი გაიმართა მშვიდ, ორმხრივი ურთიერთპატივისცემის და თანამშრომლობის პირობებში. გასაუბრებები და სხვა აქტივობები განხორციელდა დაწესებულებასთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად: უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, დაწესებულების და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. შეხვედრის დროს განხილულ იქნა საბაკალავრო პროგრამის მიზნები, შედეგები და მათი განხორციელების გზები, სწავლის შედეგები, ზოგადი და დარგობრივი საგნების თანაფარდობა, შეფასების კრიტერიუმები, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განხორციელების გზები, განვითარების პერსპექტივები, სწავლების რესურსებით უზრუნველყოფის შესაძლებლობები, სწავლის ხარისხის და შედეგების კონტროლის მექანიზმები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამა მთლიანობაში შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მიზნებთან, სტრატეგიულ გეგმასა და მისიასთან. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც მრავალდარგოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ისწრაფვის უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება და კვლევითი საქმიანობა, ხელი შეუწყოს სტუდენტების პიროვნულ განვითარებას, აღზარდოს პროფესიონალები და ლიდერები. უნივერსიტეტი ასევე მიზნად ისახავს თავის საქმიანობით წვლილი შეიტანოს ქვეყნის განვითარებაში.

უნივერსიტეტისა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმებიდან გამომდინარე პროგრამა ორიენტირებულია დარგის განვითარებაზე, რაც მიღწევადია ძირითადი სასწავლო კურსების ათვისებით და კურიკულუმის გარეშე აქტივობებით:

- უნივერსიტეტის, ქვეყნისა და მის გარეთ თანამშრომელთა მიერ კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა;
- გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან, დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან, საჯარო რეესტრთან, საბანკო და საფინანსო დაწესებულებებთან/ფირმებთან, ტურიზმის სექტორთან, გეოგრაფიის, ჰიდრომეტეოროლოგიის და წყალთა მეურნეობის ინსტიტუტებთან, შპს გეოგრაფიკთან, შრომის ბაზართან და სოციალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სფეროებთან პროფესიული თანამშრომლობა;
- სტუდენტთა შემეცნებითი და დასაქმებაზე ორიენტირებულ საუნივერსიტეტო აქტივობებში მონაწილეობა და სხვა.

თუმცა აქვე დავძენთ, რომ ჩვენი რჩევაა სტუდენტთა და პროფესორთა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მეტი აქტიურობით ჩართვა.

როგორც თვითშეფასების ანგარიში და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ონლაინ ვიზიტისას მოგროვებული ინფორმაცია გვიჩვენებს, „მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების დასაქმებას სამეცნიერო დაწესებულებებში, გარემოს ეროვნულ სააგენტოში, გეოგრაფიის ინსტიტუტში, დაცული ტერიტორიების სააგენტოში, საჯარო რეესტრში, შრომის ბაზართან და სოციალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სფეროებში, ტურიზმის სექტორში და სხვა მომიჯნავე სფეროებში.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფიის“ მუშაობის დროს გათვალისწინებული იყო დარგის მიმართ შრომის ბაზრის მიერ წაყენებული მოთხოვნები, ასევე სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილებები.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფია“ შედგენილია სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედ შიდა რეგულაციებთან თანხვედრაში. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს Major და Minor მოდულებს და მისი სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

გამოყენებული მეთოდები, კრედიტების მოცულობა, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები შესაბამისობაშია თითოეული სასწავლო კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია. პროგრამის სასწავლო კომპონენტების შინაარსი ითვალისწინებს დარგის თანამედროვე მიღწევებს, თუმცა რჩევის სახით დავამატებთ რომ ეს კომპონენტი შეიძლება კიდევ უფრო გაძლიერდეს სილაბუსებში თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურის დამხმარე მასალად გამოყენებით.

უნივერსიტეტში ჩართულია ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის ონლაინ კატალოგის სერვისი. ბიბლიოთეკას გააჩნია წვდომა ელექტრონულ ბაზებზე: პროგრამის სასწავლო კურსებისათვის საჭირო ძირითადი სახელმძღვანელოები სრულად განთავსებულია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნის ფონდში. სასწავლო კურსებისა და ზოგადად, სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით, საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარ- ჩვევების განვითარებას. პროგრამის შემადგენელი

ნაწილია სასწავლო-საველე პრაქტიკა, რომელიც მოიცავს საველე კვლევის, ვერბალური, დისკუსია/დებატების, დემონსტრირების მეთოდებს.

უშუალოდ მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფიის ძირითადი სპეციალობის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობაა - 11 (თუმცა ყველას სრული დატვირთვა საგანმანათლებლო პროგრამაზე არ აქვს), ხოლო მოწვეულის - 9 (მათ შორის 2 უცხოელი).

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, ამას ემატება სტაბილური, პროგრამის განვითარებაზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო ბიუჯეტი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფია“ **შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისად:**

სტანდარტი 1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
1.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
1.2. - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
სტანდარტი 2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.1. – შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.2. – შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.3. – შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.4. – შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.5. – შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.6. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
სტანდარტი 3. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
3.1. – შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
3.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
სტანდარტი 4. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
4.1. – შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
4.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
სტანდარტი 5. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
5.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
5.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

  - მიზანშეწონილია გადაიხედოს პროგრამის მიზანი, სადაც ნაკლები ყურადღებაა გამახვილებული ტურიზმის სფეროზე.

  - **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - სასურველია, სასწავლო კურსის სილაბუსებში დაემატოს თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა, როგორც დამხმარე მასალები. ეს ერთი მხრივ, სრულ თანხვედრაშია ინგლისურის სწავლების გაძლიერებასთან თსუ-ში და ამავე

დროს უბიძგებს სტუდენტებს გაეცნონ და გამოიყენონ თანამედროვე ცოდნა გეოგრაფიაში;

- სასურველია, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მეტად გაფართოება, მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების გაფორმება გეოგრაფიის მიმართულებით საერთაშორისო სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებთან გაცვლითი პროგრამების უფრო მეტი უზრუნველყოფისათვის. ხელი შეეწყოს სტუდენტთა ცნობიერების ამაღლებას და მათ შემდგომ ჩართულობას პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ინტერნაციონალიზაციის პროცესებში;
- სასურველია ახალ რიდერებთან, სალექციო კურსებთან ერთად მეტი ოდენობით თანამედროვე სახელმძღვანელოების გამოშვება;
- სასურველია, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგების პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის საჭიროებისგადახედვა;
- სასურველია, სასწავლო კურსის სილაბუსებში ლექციების 15 კვირეულ თემებთან ერთად პრაქტიკუმის თემების ჩამონათვალი;
- სასურველია გაიზარდოს პრაქტიკული კომპონენტის დაფინანსების წილი, რათა პრაქტიკები კიდევ უფრო მაღალეფექტურობით განხორციელდეს და გაიზარდოს მისი მასშტაბებიც;
- სასურველია, უცხოური თანამედროვე ლიტერატურის მეტი რაოდენობით მითითება სილაბუსებში, მითუმეტეს სტუდენები სწვალობენ უცხო ენას - ინგლისურს საფუძვლიანად, რაც მათ დაეხმარებათ გაეცნონ და გამოიყენონ თანამედროვე ინფორმაციები შესაბამისი სასწავლო კურსის ირგვლივ;
- სასურველია გადაიხედოს რამდენად საჭიროა დასწრების 5 ქულით შეფასება და დასკვნით (საბოლოო) გამოცდაზე დაშვების წინაპირობის 11 ქულის გაზრდა;
- სასურველია, სილაბუსების შინაარსისა და ლიტერატურის გადახედვა საფეხურების მიხედვით გადაფარვის თავიდან აცილების მიზნით;
- სასურველია გადაიხედოს სილაბუსებში სწავლება-სწავლის მეთოდები და მოხდეს ასახვა სად და როგორ გამოიყენებ მას და როგორ აფასებენ;
- სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობები, რაც მთლიანობაში პროგრამას გახდის თანმიმდევრულს და ლოგიკურად დალაგებულს;
- ძალიან კარგი იქნება თუ გაიზრდება პრაქტიკული კომპონენტის დაფინანსების წილი, რათა პრაქტიკები კიდევ უფრო მაღალეფექტურობით განხორციელდეს და გაიზარდოს მისი მასშტაბებიც;
- სასურველია, ლაბორატორიული ბაზის მეტად გაუმჯობესება, რუკების დასკანერებისა და მათი დიდ ფორმატში ბეჭდვის შესაძლებლობის შესაძლებლობა;
- სასურველია, სტუდენტების ცნობიერების ამაღლება არსებული საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების არსებობასთან დაკავშირებით. სტუდენტებისათვის ბიბლიოთეკის ელექტრონულ ბაზებზე მეტი ინფორმაციის მიწოდება;
- სასურველია, შემუშავდეს პრაქტიკის დოკუმენტი, რომელიც დეტალურად აღწერს პრაქტიკის დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის მექნიზმებს;

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  - სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო საველე-გეოგრაფიული პრაქტიკების დაფინანსება და ტრანსპორტით უზრუნველყოფა;
  - ინსტიტუციური განვითარების კვლევითი საგრანტო პროგრამების არსებობა, რომლის პრიორიტეტებად განსაზღვრულია კვლევა;
  - აკადემიური და მოწვეული პერსონალის მაღალი პროფესიული დონე, დიდი გამოცდილება და ჩართულობა საერთაშორისო და შიდა პროექტებში;
  - სამომხმარებლო ელექტრონული ბაზების წვდომადობა და სრულყოფილება;
  - ადმინისტრაციის მხრიდან პროფესორ-მასწავლებლებისათვის კვლევის ხელშეწყობის მიზნით მაღალ სამეცნიერო სანდოობის მქონე საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების დაბეჭდვის წახალისება და ფულადი ჯილდოს გაცემა.
  - სტუდენტების შიდა ხარისხობრივ და შეფასებით პროცესებში ჩართულობის უზრუნველყოფის კიდევ ერთი მექანიზმია „სტუდენტის საათი“, სადაც ადმინისტრაცია სტუდენტებთან ერთად განიხილავს უნივერსიტეტის შიდა შეფასებით მომენტებს და მექანიზმებს.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფიის“ საბაკალავრო პროგრამის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების სესიების (რომელიც მიმდინარეობდა “ZOOM” პლატფორმით) შედეგებით შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ პროგრამის მიზანი არის შესაბამისობაში: 1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასთან, მიზნებსა და სტრატეგიებთან. 2. მიზანი არის ჩამოყალიბებული, რეალისტური, გაზომვადი და მიღწევადი. მასში ასახულია თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპენტენციების მქონე კურსადმთავრებულების მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა; 3. ასევე ასახულია ინტერნაციონალიზაციის საკითხები, რაც დასტურდება აკადემიური, მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების გაცვლითი პროგრამებთან დაკავშირებით გაფორმებული მემორანდუმებით უცხოურ უნივერსიტეტებთან, თუმცა როგორც თვითშეფასების ანგარიშში არის აღნიშნული, იგი საჭიროებს კიდევ უფრო გაფართოებას და უცხოელი აკადემიური პერსონალის მეტად მოზიდვას, ჩართვას სასწავლო პროცესში და კვლევით საქმიანობაში; 4. პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის ტენდენციებს. ყოველივე ეს ამ პროგრამის კურსდამთავრებულს აძლევს საშუალებას თავისი წვლილი შეიტანოს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში; 5. ასევე ხდის დასაქმების ბაზარზე კონკურენტუნარიანს; 6. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები საჯარო და ხელმისაწვდომია. შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ნათლად და მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზნები ასახავს თუ რა ცოდნა, უნარები და კომპეტენცია ექნება კურსდამთავრებულს პროგრამის დასრულების შემდეგ, თუმცა პროგრამის „მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფია“ (ყოფილი „საზოგადოებრივი გეოგრაფია“) სახელწოდების შეცვლის შემდეგ ნაკლები ყურადღებაა გამახვილებული ტურიზმის სფეროზე და ასევე ბაკალავრის ხარისხის მქონე სტუდენტისათვის „.... მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფო/საზოგადოებრივ/ბიზნეს-ორგანიზაციების მართვაში“ ცოტათი გადაჭარბებულად შეიძლება ჩაითვალოს. შესაბამისად „მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფიის“ საბაკალავრო პროგრამის მიზნებში მიზანშეწონილია კურსდამთავრებულის ტურიზმის სექტორში დასაქმებისათვის შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ასახვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერილობა და სილაბუსები (დანართი 1);
- თსუ-ის მისია;
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2024);
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა გამოკვლევის დოკუმენტი;
- ინტერნაციონალიზაციის დოკუმენტი;
- ბოლო 5 წლის განმავლობაში დაცული საბაკალავრო ნაშრომები;
- ექსპერტთა ჯგუფის წევრების ინტერვიუს შედეგები: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსადმთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია გადაიხედოს პროგრამის მიზანი, სადაც ნაკლები ყურადღებაა გამახვილებული ტურიზმის სფეროზე და ასევე ბაკალავრის ხარისხის მქონე სტუდენტისათვის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მეტად გაფართოება, მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების გაფორმება გეოგრაფიის მიმართულებით საერთაშორისო სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებთან გაცვლითი პროგრამების უფრო მეტი უზრუნველყოფისათვისხელი შეეწყოს სტუდენტთა ცნობიერების ამაღლებას და მათ შემდგომ ჩართულობას პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ინტერნაციონალიზაციის პროცესებში;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს. სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის დასრულებისას. პორგრამის სწვალის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კავლიფიკაციას. უსდ-ს მიერ გაწერილია პროგრამის ათი შედეგი, აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ „დამოუკიდებლად მოიძიებს ზოგადი გეოგრაფიული მეცნიერებების სფეროში არსებულ მასალას, ახდენს მათ განზოგადებას, ანალიზს, შეფასებას; ინფორმაციის ტრანსფორმაციის საფუძველზე წერს ანგარიშებს“, რთულია პროგრამის ფარგლებში მოხდეს აღნიშნული სწავლის შედეგის / უნარის გამომუშავება, რადგან ბაკალავრის სტუდენტისათვის დამოუკიდბლად ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის გაკეთება შეუძლებელია შესაბამისი აკადემიური პერსონალის მეთვალყურეობის გარეშე.

როგორც ინტერვიუებისა და მტკიცებულებად წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტებიდან დგინდება, სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებულია პროგრამის სამუშაო ჯგუფის მოსაზრებები, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ბაზრის კვლევის, გარე შეფასებისა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები. თვითშეფასების ანგარიშისა და ინტერვიუს შედეგების გათვალისწინებით დგინდება, რომ პროგრამის შემუშავებამდე ხორციელდება სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მოსაზრებების შესწავლა. ინტერვიუების შედეგად ასევე დადასტურდა, რომ სწავლის შედეგების გაზიარება ხდებოდა ელექტრონულად (მსოფლიოში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე). ინტერვიუების დროს სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ნაწილი ავლენდა ცოდნას განახლებული პროგრამის შესახებ და დაადასტურეს, რომ პროგრამის ძირითადი დოკუმენტის დასრულებული ვერსია, რომელიც აღწერს პროგრამის შინაარს, მათ გაეგზავნათ მეილის საშუალებთ. ყოველივე ეს გავძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ სწავლის შედეგები ეფუძნება უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ შრომის ბაზარსა და დამსაქმებლებთან მოთხოვნების კვლევას, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი სფეროს დასაქმების ინტერესებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:

ცოდნა და გაცნობიერება - **კურსდამთავრებული** აღწერს დედამიწის საზოგადოებრივი და ბუნებრივი სისტემების განვითარების ძირითად თავისებურებებს, მის ფარგლებში მიმდინარე პროცესებს, მათ ისტორიასა და მატერიალურ საფუძველს; აცნობიერებს და აღწერს გლობალურ დონეზე სოციალურ-ეკონომიკური და/ან ბუნებრივი კომპლექსური პროცესების მიმდინარეობის თავისებურებებს და ურთიერთდამოკიდებულებას გეოგრაფიულ და სოციალურ გარემოს შორის; კრიტიკული გააზრების საფუძველზე განმარტავს რეგიონების, ადგილებისა და მოვლენების მრავალფეროვნებასა და ურთიერთდამოკიდებულებას; ***უნარები*** - **კურსდამთავრებული** დამოუკიდებლად მოიძიებს ზოგადი გეოგრაფიული მეცნიერებების სფეროში არსებულ მასალას (მათ შორის ინტერნეტის საშუალებით და საველე პირობებში), ახდენს მათ განზოგადებას, ანალიზს, შეფასებას; ინფორმაცის ტრანსფორმაციის საფუძველზე წერს ანგარიშებს; კონკრეტული რჩევების საფუძველზე შეიმუშავებს დასკვნებს საზოგადოებრივ-გეოგრაფიული პროცესების და მოვლენების შესახებ; საზოგადოებრივი სისტემების განხილვისას იყენებს სტატისტიკურ, კარტოგრაფიულ და გის-ის მეთოდებს; ამზადებს და ატარებს ზეპირ პრეზენტაციებს, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ენა(ებ)ზე; პრაქტიკაში იყენებს კარტოგრაფიულ და გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების მეთოდებს და მიდგომებს; მართებულად იყენებს დარგობრივ ცნებებსა და ტერმინოლოგიას; ***პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა*** - **კურსდამთავრებულს შეუძლია** მითითების საფუძველზე, თანამედროვე თეორიებისა და მიდგომების გამოყენებით ჩაატაროს კვლევა სხვადასხვა რეგიონში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესების და ტურიზმის ტერიტორიული ასპექტების შესახებ; საკუთარ კვლევაში გამოიყენოს თანამედროვე თეორიები და მიდგომები; კვლევა წარმართოს სამეცნიერო ეთიკისა და პრინციპების დაცვით.

საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებული სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია, რისი დასკვნის საფუძველს გვაძლევს სწავლის შედეგების რუკა.

პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების შეფასების მექნიზმების აღმწერი დოკუმენტი, რომელიც დეტალურად აღწერს სწავლის შედეგების პროცესს, ინდიკატორებსა და შეფასების გეგმას. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს.

პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია ყველა დაინტერესებული მხარის – აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მონაწილეობით და შეესაბამება დარგის სპეციფიკასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმებასა და განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს კვალიფიკაციათა აღმწერით უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სწავლის შედეგებისადმი გათვალისწინებულ მოთხოვნებთან, არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. (პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების (ბრძანება #69/ნ, 10.04.2019, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“) შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება (ბრძანება N69/ნ, 10.04. 2019 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ);

- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა (დანართი 1);
- ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუ მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან;
- პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 1)
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა (დანართი 4); ·
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი (დანართი 8).

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და	√			

მათთან პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
პროგრამაზე დაშვების პირობები ადექვატურია საბაკალავრო პროგრამაზე დაშვებისათვის. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე; საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით; საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, არის სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი. სათანადო ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი (tsu.ge).
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგამანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

პროგრამის შინაარსი და მოცულობა შეესაბამება საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნებს.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფლი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობას.

საბაკალავრო პროგრამა შედგება 240 ECTS კრედიტისაგან, სწავლის ხანგრძლივობა 4 წელი (8 სემესტრი). პროგრამა მოიცავს სასწავლო კურსებს, პრაქტიკასა და საბაკალავრო

ნაშრომს. თავად სასწავლო კურსები მიმართულია როგორც თეორიულ-პრაქტიკული, ასევე კვლევითი უნარების გაუმჯობესებაზე. პროგრამას აქვს სავალდებულო და არჩევითი კურსები, რომლების შემდეგნაირად ნაწილდება:

საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები - 50 კრედიტი (ECTS):

25 კრედიტი - საფაკულტეტო საბაზისო სავალდებულო კურსები

15 კრედიტი - სამი საფაკულტეტო შესავალი კურსი;

10 კრედიტი - ორი საფაკულტეტო არჩევითი კურსი;

ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები - 120 კრედიტი (ECTS):

90 კრედიტი - სავალდებულო სასწავლო კურსები, მათ შორის, საბაკალავრო ნაშრომი;

30 კრედიტი - არჩევითი სასწავლო კურსები;

თავისუფალი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი (ECTS)

დამატებითი (minor) სპეციალობის ან სხვა სასწავლო კურსები - 60 კრედიტი (ECTS).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საბაკალავრო პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარისი;
- პროგრამის სილაბუსები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აღწერა და შეფასება

წარმოდგენილი დოკუმენტების და ინტერვიუების შეფასებისას გაანალიზებული იქნა წარმოდგენილი სილაბუსების ტექნიკური და შინაარსობრივი მხარე. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ორიენტირებულია სტუდენტის მიერ გეოგრაფიის ბაკალავრისათვის აუცილებელი ცოდნის შეძენასა და სათანადო უნარების გამომუშავებაზე. საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუკა ნათლად მიუთითებს, რომ სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) მითითებულია პროგრამის სასწავლო გეგმაში და სასწავლო კურსის სილაბუსში და შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა განსაზღვრულია კურსის სპეციფიკისა და მისი სწავლის შედეგების გათვალისწინებით; სასწავლო კურსით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების რაოდენობა და სწავლა-სწავლების მეთოდები (ლექცია, სემინარი და სხვა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსით გათვალისწინებული და შესაბამის სილაბუსში მითითებული სტუდენტის ცოდნისა და უნარების შეფასების მეთოდები უზრუნველყოფს სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასებას. სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა შეესაბამება კურსის მიზნებს. სილაბუსებში პერიოდულად ხორციელდება ლიტერატურის განახლება, შეფასების კრიტერიუმების სრულყოფა, სწავლების მეთოდებისა და სხვა სახის ცვლილებები. სილაბუსებში სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, ითვალისწინებს ინფორმაციული სისტემების აქტუალურ მიღწევებს და უზრუნველყოფს თანამედროვე მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის 5 კრედიტიან სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგებში პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის არსებობა გადახედვა მოითხოვს, მაგალითად **ზოგადი ფიზიკური გეოგრაფია:**

ბუნებრივი რესურსების დაცვა და შენარჩუნების სტრატეგიების განვითარება;

კოსმოსური და გეოგრაფიული კანონზომიერებების შემეცნება; ბუნებრივი გარემოს მდგრადი განვითარების ხელშეწყობა და შესაბამის ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება; მსოფლიო ტურიზმის გეოგრაფია: დამოუკიდებლად მოიძიებს ტურიზმის სფეროში არსებულ მასალას (მ.შ. ინტერნეტისა და საველე პირობებში) - კურსში საველე გასვლები არ არის

უმეტეს სასწავლო კურსის სილაბუსში ლექციების 15 კვირეულ თემებთან ერთად არ არის ჩაშლილი პრაქტიკუმის თემები და მითითებულია, რომ სალექციო თემატიკის ჩაღრმავება

ხორციელდება სასემინარო საათზე დამატებითი ლიტერატურის საფუძველზე.

სასწავლო კურსის უმეტესობას არ აქვს დაშვების წინაპირობა თუნდაც ისეთს, როგორიცაა ზოგადგეოგრაფიული საველე-საწარმოო პრაქტიკა; ეკონომიკური, რეკრეაციული ტურიზმის გეოგრაფია (საველე პრაქტიკა). სასწავლო კურსებში ერთი და იგივე ძირითადი ლიტერატურა - ზოგადგეოგრაფიული საველე-საწარმოო პრაქტიკა და საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია; სასწავლო კურსების სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები (ბაკალავრიატი) და სოციალური კვლევის მეთოდები (მაგისტრატურა) სილაბუსების შინაარსისა და ლიტერატურის გადახედვა საფეხურების მიხედვით გადაფარვის თავიდან აცილების მიზნით .

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1);
- სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 1);
- ინტერვიუ;
- საგანმანათლებლო პროგრამის კურუკულუმის რუკა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი (tsu.ge).

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგებში პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის საჭიროების, გადახედვა;
- სასწავლო კურსის სილაბუსში ლექციების 15 კვირეულ თემებთან ერთად აუცილებელია პრაქტიკუმის თემების ჩაშლა;
- უცხოური თანამედროვე ლიტერატურის მეტი რაოდენობით მითითება სილაბუსებში, მითუმეტეს სტუდენები სწვალობენ უცხო ენას - ინგლისურს საფუძვლიანად, რაც მათ დაეხმარებათ გაეცნონ და გამოიყენონ თანამედროვე ინფორმაციები შესაბამისი სასწავლო კურსის ირგვლივ;
- სასურველია დასკვნით (საბოლოო) გამოცდაზე დაშვების წინაპირობის მინიმალური 11 ქულის გადახედვა;
- სილაბუსების შინაარსისა და ლიტერატურის გადახედვა საფეხურების მიხედვით გადაფარვის თავიდან აცილების მიზნით;
- საველე პრაქტიკების დაფინანსების გაზრდა;
- სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობები, რაც მთლიანობაში პროგრამას გახდის თანმიმდევრულს და ლოგიკურად დალაგებულს.

○

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფაკულტეტი პროგრამის სწავლის შედეგებისა და სწავლების საფეხურის შესაბამისად, ჩართულია სხვადასხვა კონფერენციების მოწყობაში, ხოლო აკადემიური და მოწვეული პერსონალი მონაწილეობას იღებენ ადგილობრივ თუ საერთაშორისო ღონისძიებაში. საგანმანათლებლო პროგრამა, მისი კომპონენტები უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას. ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში, აგრეთვე პროგრამის კურიკულუმის რუკაში. ამასთან ერთად, პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას სხვადასხვა პროექტებში, მათ მონაწილეობას კათედრებთან/ სამეცნიერო ცენტრებთან არსებულ სტუდენტურ სამეცნიერო წრეებში და სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში; ამ მიზნით, ფაკულტეტზე ყოველ სემესტრში ტარდება სტუდენტთა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია. სტუდენტები მონაწილეობას იღებენ აგრეთვე საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად ჩატარებულ სტუდენტთა უნივერსიტეტთაშორისო კონფერენციებში. უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების მიერ პრაქტიკული და ტრანსფერული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და განვითარებას მათთვის სტაჟირების განხორციელებით. სტუდენტთა ტრანსფერული უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული აგრეთვე კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივები, რომლებიც ვლინდება სტუდენტთა მონაწილეობით განხორციელებულ სხვადასხვა კულტურული, ინტელექტუალური, სპორტული და საქველმოქმედო ღონისძიებების მხარდაჭერაში. უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტური სამეცნიერო პროექტების მხარდაჭერის ტრადიცია. სტუდენტურ ინიციატივას, მათ პროექტებს აფასებს საუნივერსიტეტოს კომისია, რომლის შემადგენლობაშია სხვადასხვა ფაკულტეტების, დეპარტამენტების წარმომადგენლები, სტუდაქიტივი და ინოვაციის დანერგვის ცენტრის

წარმომადგენლები. კომისიის მიერ გამჭვირვალედ განიხილება ყველა პროექტი, თუ საპროექტო განაცხადი. კომისია აფასებს ნაშრომს, რომლის შედეგებს წარუდგენს ავტორს. გამარჯვებული პროექტი ფინანსდება საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 1); • საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1); • ინფრომაცია სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის შესახებ; • ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან .
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მეტად გაფართოება, მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების გაფორმება გეოგრაფიის მიმართულებით საერთაშორისო სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებთან გაცვლითი პროგრამების უფრო მეტი უზრუნველყოფისათვის. ხელი შეეწყოს სტუდენტთა ცნობიერების ამაღლებას და მათ შემდგომ ჩართულობას პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ინტერნაციონალიზაციის პროცესებში; • სასურველია ახალ რიდერებთან, სალექციო კურსებთან ერთად თანამედროვე სახელმძღვანელოების გამოშვება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა იყენებს სწავლება-სწავლის მრავალფეროვან მეთოდებს, რაც შეესაბამება ბაკალავრის საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებულია სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები: ლექცია, სემინარი და პრაქტიკული მუშაობა; ამასთანავე წარმოდგენილი საგნების სწავლებისას გამოყენებული იქნება სხვადასხვა სახის მეთოდთა ერთობლიობა, რაც მითითებულია თითოეული საგნის სილაბუსში: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; წიგნზე მუშაობის მეთოდი (რეფერატის დამუშავება, ახალი სტატისტიკური მონაცემების მოძიება, საპრეზენტაციო მასალის შექმნა და წარდგენა); წერითი მუშაობის მეთოდი (ჩანაწერების გაკეთება, რეფერატის შესრულება, მასალის დაკონსპექტება და ა.შ.); დემონსტრირების მეთოდი ელექტრონული სწავლება (E-learning). პრაქტიკული მეთოდები სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს შემდეგ აქტივობას: საველე მუშაობა, რუკების შედგენა(Arc GIS პროგრამაში), სქემატური და გრაფიკული მასალის შექმნა და სხვ.;

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, აგრეთვე, სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, სწავლის შედეგების მისაღწევად შესაძლებელია სწავლების/სწავლის სხვა მეთოდების/აქტივობების გამოყენებაც. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგეს ინდივიდუალური პროგრამაც. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული სწავლების/სწავლის მეთოდები/აქტივობები კომპონენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ლექტორის მიერ აისახება შესაბამის სილაბუსში.

ექსპერტთა ჯგუფის სილაბუსების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სასწავლო კურსებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება პროგრამის მიზნებს. ამავდროულად უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები რელევანტურია და ითვალისწინებს დარგის სპეციფიკასაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1);
- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 1);
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა.

რეკომენდაციები:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტთა შეფასება ასახულია საგანმანათლებლო პროგრამაში და ხორციელდება დადგენილი წესის მიხედვით, რაც ასახულია უნივერსიტეტის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში". შეფასების პროცედურები არის სამართლიანი, გამჭვირვალე და შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

შეფასების შესახებ სტუდენტთა ინფორმირება ხდება სწავლის დაწყებამდე საორიენტაციო შეხვედრებზე, რომელშიც ჩართულები არიან უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები. ცალკეულ კურსებში გათვალისწინებული შეფასების მეთოდები, კომპონენტები და ინსტრუმენტები განთავსებულია სილაბუსებში. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ ლექტორები პირველი ლექციაზე აცნობენ სტუდენტებს შეფასების შესახებ დეტალურ ინფორმაციას. სტუდენტები ინფორმირებულები არიან შეფასების გასაჩივრების პროცედურების შესახებ და იხსენებენ კონრკეტულ შემთხვევებს.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა;
ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა

გამოცდაზე გასვლის უფლება;

ზ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.

შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50 % (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით).

საბაკალავრო ნაშრომის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის[3] მიხედვით):

საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით.
საბაკალავრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და ბაკალავრს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება წინასწარ დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა).
საბაკალავრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია. კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები (დაცვით):

1. საბაკალავრო ნაშრომი ფასდება ხელმძღვანელის მიერ - მაქსიმალური ქულა 40 (დაცვაზე გასვლის წინაპირობა მინიმუმ 20 ქულა):

ა) შინაარსობრივი მხარე (30 ქულა):

- საკვლევი საკითხის რელევანტური თეორიების, პრინციპებისა და ფაქტობრივი მასალის ცოდნა და კრიტიკული გააზრება–10 ქულა;
- ანალიზის, არგუმენტებისა და დასკვნების გამართულობა - 10 ქულა;
- ნაშრომის ენობრივი და სტილისტური გამართულობა – 10 ქულა.

ბ) ფორმალური მხარე (10 ქულა).

2. საბაკალავრო ნაშრომის პრეზენტაცია (ფასდება კომისიის წევრების მიერ საჯარო დაცვის დროს) - მაქსიმალური ქულა 60 (ნაშრომი დაცულად ჩაითვლება თუკი სტუდენტი საჯარო დაცვაზე მიიღებს მინიმუმ 31 ქულას)

ა) ნაშრომის შინაარსობრივი მხარე (30 ქულა):

- კვლევის მეთოდოლოგია, პირველადი/მეორადი მონაცემების ანალიზის სიცხადე – 5 ქულა;
- თეორიის და ემპირიული მასალის საკვლევი საკითხის რელევანტური თეორიების, პრინციპებისა და ფაქტობრივი მასალის ცოდნა და კრიტიკული გააზრება – 10 ქულა;
- ანალიზის, არგუმენტებისა და დასკვნების გამართულობა - 15 ქულა.

ბ) პრეზენტაციის შინაარსობრივი მხარის შეფასება (20 ქულა):

- საპრეზენტაციო მოხსენების რელევანტურობა საბაკალავრო ნაშრომის შინაარსთან – 5 ქულა;
- არგუმენტირებული მსჯელობა – 5 ქულა;
- აუდიტორიასთან კომუნიკაცია ეთიკის სტანდარტების გათვალისწინებითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით – 10 ქულა.

გ) ნაშრომისა და პრეზენტაციის ფორმალური მხარე (10 ქულა):

- საპრეზენტაციო მასალის გაფორმება და შესრულების დონე – 10 ქულა;
- ნაშრომის/პრეზენტაციის ენობრივი და სტილისტური გამართულობა –10 ქულა.

საზოგადოებრივი გეოგრაფიის საგანმანათლებლო პროგრამის, შემდგომში „**მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფია“, საბაკალავრო ნაშრომის დაცვა საჯაროა**.

სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს საგამოცდო მასალის (საგამოცდო ბილეთები, ტესტები და სხვ.), გამოცდების ჩატარების და სტუდენტთა ნაშრომების შეფასების მონიტორინგს, აანალიზებს შედეგებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს. ამასთანავე, მაქსიმალურად ხდება სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1);
- პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 1);
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ გვერდი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი (tsu.ge);
- საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი https://bit.ly/3DbCV5t

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია გადაიხედოს რამდენად საჭიროა დასწრების 5 ქულით შეფასება და დასკვნით (საბოლოო) გამოცდაზე დაშვების წინაპირობის 11 ქულის გაზრდა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს პირველივე სემესტრიდანვე აქვთ უნივერსიტეტთან ადაპტაციის შესაძლებლობა და ამისთვის უნივერსიტეტი იყენებს სპეციალური შეხვედრების მეთოდს, რომელიც გათვალისწინებულია პირველსემესტრელთა კვირეულის ფარგლებში. შეხვედრებზე არსებობს ფაკულტეტების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდების პრაქტიკა, რაც ბუნებრივია, საჭირო და აუცილებელიაიმისათვის, რომ სტუდენტს ჰქონდეს ის პირველადი ინფორმაციული უზრუნველყოფა, რაც შემდგომში მას აუცილებლად დასჭირდება აკადემიურ სივრცეში სრულყოფილი თვითრეალიზაციისათვის. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში გაწეული პერმანენტული სერვისის სახე აქვს საკონსულტაციო შეხვედრებს, რომელთა შესახებ სტუდენტებს აქვთ წინასწარ განსაზღვრული ინფორმაცია, აღნიშნული შეხვედრების ფარგლებში გამოყოფილი საათები კი გათვალისწინებულია პერსონალის დატვირთვაში. გარდა ამისა, გამოირკვა, რომ პერსონალსა და

სტუდენტებს შორის საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება კონსულტირებები. ვიზიტის ფარგლებში, სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტებს მუდმივად აქვთ უკუკავშირი აკადემიურ პერსონალთან.აღსანიშნავია, რომ როგორც გეგმიური, ასევე დაუგეგმავი (საჭიროებისმიერ) ჩანიშნული საკონსულტაციო შეხვედრების/გასაუბრებების თემა და ასპექტები, ძირითადად, უკავშირდება კონფერენციებსა თუ პროექტებში მონაწილეობას, აკადემიური სპეციფიკის სხვადასხვა საკითხების უკეთ გააზრებას, სტუდენტთა მაქსიმალურ ინფორმაციულ უზრუნველყოფას, რასაც ცალსახად აქვს კიდეც თავისი პრაქტიკული შედეგი, რამეთუ სტუდენტები ადასტურებენ, რომ მათ აქვთ კონფერენციებში, პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობა და თავად ეს პროექტები საკმაოდ მრავალფეროვანი ხასიათისაცაა. ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ერთ-ერთი მიმართულება სწორედ სტუდენტური აქტივობების გააქტიურებაა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ტიპის პროექტებსა თუ კონფერენციებში. ფაკულტეტი ასევე დიდ რესურს იყენებს პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებაში.. სტუდენტებიც პოზიტიურად აფასებენ საველე პრაქტიკებს და ზოგადად, პრაქტიკულ კომპონენტს. ფაკულტეტი ახორციელებს საველე პრაქტიკებს სტუდენტებისთვის აჭარასა და თბილისში. მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ აღნიშული ფინანსდება უნივერსიტეტის მხრიდან. (თუმცა აქვე აღნიშვნას საჭიროებს ის, რომ აღნიშნული დაფინანსება საჭიროებს გაზრდას, რათა პრაქტიკული ნაწილი კიდევ უფრო მაღალეფექტურობით განხორციელდეს და გაიზარდოს მისი მასშტაბებიც) სტუდენტთა მიმართ მსგავსი მხადაჭერის გამოცხადება ამრავალფეროვნებს სტუდენტის პრაქტიკულ უნარებს, მეტად ავლენს მათ პროსამეცნიერო, აკადემიურ პოტენციალს და რა თქმა უნდა, ეხმარება რელევანტურ პოზიციაზე დასაქმებაშიც. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი გახლავთ უნივერსიტეტის ისეთი პროექტი, როგორიცაა უნივერსიტეტის მიზნობრივი გრანტი, რომელიც გაიცემა პროფესორისა და სტუდენტებისგან დაკომპლექტებული ჯგუფის მიერ განხორციელებულ საკვლევ პროექტზე. პრაქტიკული უნარების განვითარების მხრივ მუშაობის აუცილებლობასა და ეფექტურობაზე მეტყველებს ბაკალავრიატის ერთ-ერთი კურსდამთავრებულის საინტერესო მაგალითიც, რომლის მიხედვითაც იგი დღესდღეობით საკუთარ მოსწავლეებს თავის მიერვე შედგენილი რუკებით ასწავლის (ეს კურსდამთავრებული დღეს ერთ-ერთი სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელია).

სტუდენტური სერვისების კუთხით მუშაობს აგრეთვე კარიერული ზრდისა და განვითარების ცენტრი, რომელშიც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ინფორმაციით 3 პერსონაა დასაქმებული, თუმცა ამას გარდა მათ ჰყავთ თითო წარმომადგენელი ფაკულტეტზე. ერთიანად კი ეს სისტემა უზრუნველყოფს დასქმების ფორუმების ორგანიზებას, შეხვედრების ჩატარებას და დამსაქმებლებთან ურთიერთობას. პერიოდულად - ვაკანსიების მიწოდებას სტუდენტებისთვის. დასაქმების ფორუმები ტარდება ყოველსემესტრულად. პანდემიურ სიტუაციამდე კი ამ ყველაფერს ჰქონდა არადისტანციური ხასიათი.

სტუდენტური სასწავლო პრაქტიკის და სტაჟირების კუთხით უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან, ქალაქ თბილისის მერიასთან, ურთიერთგაგების მემორანდუმი - ა(ა)იპ - საერთაშორისო ასოციაცია კვიტას გეორგიკასთან.

სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების განვითარების ხელშეწყობის, ცოდნის პრაქტიკული რეალიზაციის და პრაქტიკის კომპონენტის განვითარების კუთხით უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული ა(ა)იპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული კვლევებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრთან, შპს „სოციალშარკთან“, ა(ა)იპ - თბილისის ფსიქოთერაპიის ინსტიტუტთან, ა(ა)იპ მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევით ცენტრთან.

უნივერსიტეტს თანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული შემდეგ საერთაშორისო უსდ-ებთან:

- Maria Curie-Sklodowska University

- University of Helsinki
- The University of Paris 8
- The University of Warsaw
- ისტუს-ლიბიგის სახელობის უნივერსიტეტი (გერმანია)
- Tallinn University

უნივერსიტეტი აქტიურ კოლაბორაციაშია 50 ქვეყნის 202 უსდ-სთან

თანამედროვე სივრცეში განსაკუთრებით კი პანდემიური დღის წესრიგით საკვანძოდ მნიშვნელოვანია გამართული ელექტრონული სისტემების არსებობა. სტუდენტების ძალიან დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტი მარტივად და ეფექტურად ადაპტირდა პანდემიის პირობებზე და ონლაინ სივრცეზე. მათ ძალიან მოსწონთ lms და e-learning სისტემები. აღსანიშნავია, რომ ამ კუთხით მაქსიმალურად არის დაცული სტუდენტების ინფორმაციული უზრუნველყოფის პრინციპი და პროცესებიც გამარტივებულია. სტუდენტებს ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიეწოდებათ პროაქტიულად. მნიშვნელოვანია ისიც, რომ დისტანციური სერვისების მომენტი ასევე საკმაოდ პრაქტიკული და აპრობირებული იყო პანდემიურ დღის წესრიგამდეც. მატერიალური ბაზის დათვალიერებისასაც კარგად გამოჩნდა, რომ დისტანციური სერვისები საკმაოდ პრაქტიკული და ინფორმაციულია. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა სასწავლო მასალები ელექტრონულად კვირების მიხედვით ნახონ და აითვისონ. აგრეთვე გამოჩნდა, რომ ელექტრონიზებულია უკუკავშირის სისტემაც და ნაშრომებზე ლექტორების კომენტარების დეტალური ასახვა ხორციელდება. აღნიშნული სისტემები ასევე ამარტივებს დოკუმენტწარმოების პრაქტიკასაც და სტუდენტებს საკმაოდ იოლად შეუძლიათ საჭირო ცნობების მიღება.

ინფორმაციულად დატვირთულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (https://www.tsu.ge) ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია საჭირო სტუდენტურ სერვისებთან მიმართებით.

საუნივერსიტეტო მხარდაჭერითი ღონისძიებების კუთხით ასევე იკვეთება საერთო საცხოვრებელი. ინტერვიუს ფარგლებში გავესაუბრეთ სტუდენტს, რომელიც უშუალოდ სარგებლობს ამ სერვისით და მან გამოხატა კმაყოფილება, რამეთუ მისი აღნიშვნით, თსუ-ს საერთო საცხოვრებელი მინიმალურ ფასად უზრუნველყოფს საკმაოდ კარგ პირობებს.

იკვეთება, რომ უნივერსიტეტი ასევე მხარს უჭერს სპორტულ ცხოვრებას. ჰყავთ კონკრეტული სპორტული გუნდები. აგრეთვე, არსებობს თვითმმართველობა, რომელიც კომიტეტური სისტემითაა დაყოფილი. სტუდენტები მონაწილეობას იღებენ თვითმმართველობის არჩევნებშიც.

წახალისების ერთ-ერთი მექანიზმია სტიპენდია. სტიპენდიის მოპოვებისთვის არსებობს შემდეგი კომპონენტები შემდეგი პროცენტული განაწილებით:
80% - ქულები, 10% - სტუდენტური კონკურსები, 10% - სტატიები.

უნივერსიტეტის სტუდენტებს წვდომა აქვთ საბიბლიოთეკო ბაზებთან, თუმცა როგორც აღმოჩნდა ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებში აღნიშნული სერვისით სარგებლობის მაჩვენებელი შედარებით დაბალია. ამის მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტები, ძირითადად, ეყრდნობიან ე.წ რიდერებს და ლექტორების მიერ შეთავაზებულ ლიტერატურას, საბიბლიოთეკო დატვირთვა კი, ძირითადად, მოდის სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე, სადაც კვლევითი კომპონენტის წილი მეტად დიდია.

უნივერსიტეტში ასევე ყურადღება ექცევა ინტერნაციონალიზაციას და იგი იკვეთება სტუდენტური მხარდაჭერითი ღონისძიებების კუთხითაც. კერძოდ, მოქმედებს საერთაშორისო მობილობის პროგრამა (Erasmus+). პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა ინგლისურის მინიმუმ B2 დონე. აგრეთვე, იქმნება შიდა კომისია, რომელიც ახორციელებს შერჩევის პროცესს. სტუდენტებს საკონსულტაციო საათების პირობებში აქვთ საშუალება ასევე მიიღონ დეტალური ინფორმაცია პროგრამის შესახებ. მნიშვნელოვანი იყო გაცვლითი პროგრამის გამოცდილება პანდემიის პერიოდში. კონკრეტული სტუდენტის გამოცდილებით, მისი მობილობის პერიოდი ზუსტად პანდემიის პირველ ტალღას დაემთხვა, ამ რთული ვითარების პერიოდში კი უნივერსიტეტმა მაქსიმალური მხარდაჭერა გაუწია ამ სტუდენტს მისი საბოლოოდ

ტრანსპორტირების ეტაპამდე.

პოზიტიურად შეფასების ღირსია არსებული აპელაციის მექანიზმი. აღსანიშნავია, რომ მოქმედებს ქულათა აპელციის ორდონიანი მექანიზმი. პირველი ეტაპია აპელაცია კონკრეტული საგნის ლექტორთან, ხოლო საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში - სააპელაციო კომიტეტთან. კომიტეტში არ შედის ის ლექტორი, რომელმაც განახორციელა თავდაპირველი შეფასება. აღნიშნული ზრდის შეფასების გამჭვირვალობის და სანდოობის მომენტს.

მნიშვნელოვანია, რომ ხარისხის სამსახური ზრუნავს სტუდენტთა უკუკავშირის მექანიზმსა და მათ აქტიურ ჩართულობაზე ხარისხის მართვაში. კერძოდ, უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა გამოკითხვა კმაყოფილების კვლევის სახით lms პლატფორმაზე. ხარისხის სამსახურის ინფორმაციით, უკუკავშირის კვლევა მოიცავს ძირითადად სტუდენტების 10%-ს. აღნიშნული რიცხვი ოდნავ დაბალი მაჩვენებელია, თუმცა ადმინისტრაციამ ეს განმარტა იმით, რომ სტუდენტების ჩართულობის მაჩვენებელი ასეთ კვლევებში იყო საკმაოდ დაბალი და სტუდენტთა დიდი ნაწილი უკმაყოფილებასაც კი გამოთქვამდა ამ კვლევების შესაძლო სავალდებულოობასთან მიმართებით, შესაბამისად ადმინისტრაციამ გაითვალისწინა სტუდენტების აზრი და კვლევა დავიდა 10%-იან ნიშნულზე.

სტუდენტების შიდა ხარისხობრივ და შეფასებით პროცესებში ჩართულობის უზრუნველყოფის კიდევ ერთი მექანიზმია „სტუდენტის საათი“, სადაც ადმინისტრაცია სტუდენტებთან ერთად განიხილავს უნივერსიტეტის შიდა შეფასებით მექანიზმებს. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი თანამშრომლობს შოტლანდიურ ორგანიზაცია „სპარქსთან“, რომელიც ატრენინგებს სტუდენტებს ხარისხის მართვაში ჩართულობის კუთხით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგი
- დანართი 17.2 - უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა /დამსაქმებელთა/პერსონალის გამოკითხვის ფორმები, გამოკითხვის შედეგები და მათი გამოყენება
- დანართი 11 - შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან და პრაქტიკის ობიექტებთან

  უსდ-ს ვებ-გვერდი https://www.tsu.ge

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გაიზარდოს პრაქტიკული კომპონენტის დაფინანსების წილი, რათა პრაქტიკები კიდევ უფრო მაღალეფექტურობით განხორციელდეს და გაიზარდოს მისი მასშტაბებიც.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- სტუდენტების შიდა ხარისხობრივ და შეფასებით პროცესებში ჩართულობის უზრუნველყოფის კიდევ ერთი მექანიზმია „სტუდენტის საათი“, სადაც ადმინისტრაცია

სტუდენტებთან ერთად განიხილავს უნივერსიტეტის შიდა შეფასებით მექანიზმებს.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;

- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფიის“ საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 11 აკადემიური პერსონალი (მათ შორის, 5 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტ-პროფესორი) და 10 მოწვეული პედაგოგი (მათ შორის, 2 უცხოელი).

თსუ-ში მოქმედებს აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები, რომლის მიზანია, ერთი მხრივ, უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტებისა და ამ აქტებით რეგულირებული სამართლებრივი ურთიერთობების საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა; ხოლო მეორე მხრივ, უნივერსიტეტსა და უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს შორის ისეთი ურთიერთსასარგებლო შრომითსამართლებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბება, რომელიც ერთი მხრივ, აკადემიურ პერსონალს მისცემს საშუალებას თავისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობა აწარმოოს უნივერსიტეტის სახელით და მეორე მხრივ, უნივერსიტეტს მისცემს საშუალებას მაქსიმალურად და შესაძლებლობის ფარგლებში შეუზღუდავად შეუწყოს ხელი აკადემიურ პერსონალს თავისი შესაძლებლობების სრული რეალიზებისათვის. სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესორები აფილირებული არიან თსუ-სთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში, ძირითადად, ჩართულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, რაც დასტურდება ინტერვიუებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციით. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და თსუ-ს შიდა რეგულაციების შესაბამისად. ისინი ფლობენ სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც განისაზღვრება ბოლო 5 წლის განმავლობაში მათი აკადემიური/სამეცნიერო აქტივობით.

აკადემიური პერსონალის პედაგოგიური დატვირთვა შემუშავებულია თსუ-ს მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციების შესაბამისად. თსუ-ში ასევე მოქმედებს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად მოწვეული პერსონალის შერჩევის წესი.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი, სწავლების გარდა, ჩართულია სტუდენტების კონსულტირების პროცესში და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებაში.

დოკუმენტებიდან და აკრედიტაციის ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებიდან ასევე იკვეთება, რომ პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება.

პროგრამაში მონაწილე სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი რაოდენობის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ვიზიტის მსვლელობისას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ ფაკულტეტის ადმინისტრაციულ და დამხმარე ორგანოებს წარმოადგენს: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადმინისტრაციული სამსახური, სასწავლო პროცესისა და მართვის სამსახური, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური, სტუდენტთა ბიბლიოთეკა, გის ლაბორატორია და სხვ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფაკულტეტის დებულება (დანართი 4 და 15);
- სსიპ–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი;

- სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ. დადგენილება N: 113/2018. 30/04/2018;
- პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (დანართი 6);
- აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის პირადი საქმეები და ხელშეკრულებები (დანართი 3).
- აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით (თვითშეფასების რაოდენობრივი მაჩვენებელი);
- აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან მიმართებით (თვითშეფასების რაოდენობრივი მაჩვენებელი);
- აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი (თვითშეფასების რაოდენობრივი მაჩვენებელი);
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და პირადი საქმე (დანართი 4 და 3);
- ფაკულტეტის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში (დანართი 16);
- პერსონალის განვითარების ღონისძიებები (დანართი 16).

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმი შესაბამისი კითხვარების მეშვეობით. აკადემიური პერსონალი რამდენიმე გზით ფასდება: (1) ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ სტუდენტთა გამოკითხვების გზით ხორციელდება სტუდენტთა კმაყოფილების დონის შეფასება, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლებისა და შეფასების სისტემის საკითხებს. (2) საგანმანათლებლო პროგრამის მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ახორციელებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის რიგ აქტივობებს. პედაგოგებისთვის შექმნილია ელექტრონული სწავლების სახელმძღვანელო, ასევე მომზადებულია ონლაინ სასწავლო პლატფორმების (LMS, ZOOM, Moodle) ოპერირებისა და მართვის ტექსტური და ვიდეო-ტუტორიალთა სერია, რაც ხელს უწყობს პედაგოგებს სასწავლო პროცესის დროულ და ეფექტურ განხორციელებაში. ამასთან, ფაკულტეტზე მოქმედებს სახელმძღვანელოების კონკურსი, რაც გულისხმობს სასწავლო კურსებისთვის სახელმძღვანელოების შექმნას ან განახლებას. ასევე აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტზე არსებობს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსების მექანიზმი, რაც გულისხმობს პროექტის განხორციელებას აკადემიური, მოწვეული და აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების ჩართულობით. ფაკულტეტის ორგანიზებით იმართება ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“. ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ თსუ-ს ადმინისტრაციის და ფაკულტეტის მიერ ფინანსდება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მივლინებები უცხოეთში, რაც განაპირობებს პერსონალის პროფესიულ განვითარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თსუ-ს მიერ პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევისა და გამოკითხვის შედეგები (**დანართი 17**); • აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები (**დანართი 16**); • ფაკულტეტის დებულება (**დანართი 15**) • აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეზიუმეები (**დანართი 3**); • საერთაშორისო ან/და სამეცნიერო/კვლევით პროექტებში კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი (**დანართი 18.1**); • საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (საერთაშორისო კვლევები, გამოქვეყნებული შრომები, საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი, გაცვლითი და/ან ერთობლივი პროგრამები, ორმხრივი შეთანხმებები, მემორანდუმები, და სხვა) (**დანართი 11; დანართი 13; დანართი 18**).

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საკმარისია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული ლაბორატორიული ბაზა და შესაბამისი პროფესიული პროგრამები. ასევე სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ სასწავლო აუდიტორიები და საფაკულტეტო მულტიმედიაცენტრი.

სტუდენტებისთვის სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში, სადაც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სასწავლო კურსისთვის არსებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები. ამასთან, სასწავლო კურსის მასალები

ასევე ატვირთულია e-learning.tsu.ge-ზე და Moodle-ის სასწავლო პლატფორმაზე.

უნივერსიტეტში არსებული ბიბლიოთეკა სტუდენტებს სათანადო მხარდაჭერას უწევს. ონლაინ ვიზიტის ფარგლებში ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან ინტერვიურებისას შემთხვევითი შერჩევის პრონციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. ბიბლიოთეკის ვებგვერდი არის იოლი მოსახმარი და ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ისე პერსონალისთვის.

აღსანიშნავია, რომ თსუ-ს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, თანამშრომლებს და სტუდენტებს წვდომა აქვთ საინფორმაციო და საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე. ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ სტუდენტები ნაკლებად იყენებენ აღნიშნულ ბაზებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- არსებული ინფრასტრუქტურა;
- მატერიალური და ტექნიკური რესურსი (დანართი 18);
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა - https://tsu.ge/ka/library/page/894 ;
- ელექტრონული სწავლების პლატფორმები - https://e-learning.tsu.ge; https://lms.tsu.ge;
- ელექტრონული კატალოგი/საბიბლიოთეკო ფონდი - https://www.tsu.ge/ka/library;
- მულტიმედია ცენტრი - http://multimedia.tsu.edu.ge/.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ლაბორატორიული ბაზის მეტად გაუმჯობესება, რუკების დასკანერებისა და მათი დიდ ფორმატში ბეჭდვის შესაძლებლობის შესაძლებლობა;
- სტუდენტების ცნობიერების ამაღლება არსებული საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების არსებობასთან დაკავშირებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- როგორც თვითშეფასების ანგარიშშია მოყვანილი მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან ხორციელდება, რაც, თავის მხრივ თსუ-ს ბიუჯეტის ნაწილს წარმოადგენს.
- ბიუჯეტში გამოყოფილია თანხები შრომის ანაზღაურებისთვის, სამეცნიერო-კვლევითი ხარჯები, წარმომადგენლობითი ხარჯები და სტუდენტური სწავლის დაფინანსების, გაცვლითი პროგრამების, პრაქტიკის, ექსპედიციის და სხვადასხვა კულტურულ სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ხარჯები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსდ-ს ბიუჯეტი (დანართი 18);
- პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი (დანართი 14);
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 7 დეკემბრის სხდომის ოქმი #8.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტში მიმდინარე სწავლა-სწავლების, კვლევის, უნივერსიტეტის მესამე მისიის - საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანისა) და ინსტიტუციური ეფექტიანობის შეფასება უწყვეტი პროცესია, რომელსაც ახორციელებს უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები.

ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზანია უნივერსიტეტში საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება ხარისხის კულტურის გაძლიერების მიზნით. რაც გულისხმობს უნივერსიტეტის საქმიანობაში ჩართული თითოეული პირის მიერ პასუხისმგებლობის აღებას მის მიერ განხორციელებული საქმიანობის ხარისხზე, ანგარიშვალდებულებას შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებთან.

შიდა დაინტერესებულ მხარეებთან ანგარიშვალდებულება გულისხმობს ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობის გამჭვირვალეობას და ანგარიშების მომზადებას; ხოლო გარე დაინტერესებულ მხარეებთან ანგარიშვალდებულება მოიცავს ხარისხის გარე უზრუნველყოფის მოთხოვნების დაკმაყოფილებას საგანამანათლბელო პროგრამებისა და უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების და გარე უზრუნველყოფის პროცედურების გავლის გზით.

ხარისხის შიდა უზრუნველყოფისას უნივერსიტეტი ითვალისწინებს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრონციპებს (ESG 2015), რომელიც არის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყფის საერთო ჩარჩო ევროპულ დონეზე.

ხარისხის შიდა უზრუნველყოფის კოორდინირება ხორციელდება უნივერსიტეტის ცეტრალური და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ ადგილობრივ და უცხოურ უნივერსიტეტებთან მჭირდო თანამშრომლობით.

უნივერისტეტების გარდა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ (ENQA), ევროპის უმაღლესი განათლების ინსტიტუტების (EURASHE), ევროპის სტუდენტთა (ESU), ევროპის უნივერსიტეტების (EUA) ასოციაციებთან, აშშ აკრედიტაციის საბჭოსთან/ინჟინერიასა და ტექნოლოგიაში (ABET) და სხვა ორგანიზაციებთან.

ამ პროცესში უმნიშვნელოვანესია უნივერსიტეტის ავტონომიურობა, ინკლუზიისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის, აკადემიური თავისუფლებისა და მრავალფეროვნების პატივისცემის, საუკეთესო გამოცდილების ურთიერთგაზიარებისა და აქტუალური საკითხებისადმი კრიტიკული მიდგომის გათვალისწინება.

შიდა ხარისხის შეფასებისას მნისვნელოვანი ამოცანებია: ა) უნივერსიტეტში სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა; ბ) უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის შეფასება; გ) რეკომენდაციების შემუშავება უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის სრულყოფის მიზნით; დ) ავტორიზაციისა და აკრედიტაციისთვის თვითშეფასების პროცესის ორგანიზება; ე) სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა; ვ)საერთაშორისო თანამშრომლობის და საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური: ა)ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის გზით; უზრუნველყოფს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებას; ბ)იხილავს საგანმანათლებლო პროგრამებს და მათი ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის განხორციელებას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით, ერთობლივი დადებითი დასკვნის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოს; გ) ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების სისტემატურ მონიტორინგს, მიღებულ შედეგებს წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს პროგრამების შემდგომი დახვეწის მიზნით. მონაწილეობს აკადემიური პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის შეფასების პროცესში; დ)ახორციელებს ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებთან კომუნიკაციას, რომელიც გულისხმობს ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში მათ მონაწილეობას და სხვა.

უნივერსიტეტში შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა; სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი; აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესი და პირობები/შეთანხმება აფილირების შესახებ; საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა და ინდიკატორები; სილაბუსის შეფასების ფორმა დაინდიკატორები; სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და პერსონალის გამოკითხვის ფორმები. რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ადმინისტრაციასთან, ხარისხის სამსახურების, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით.

წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურაში ჩართულნი არიან არა მხოლოდ აკადემიური პერსონალი და ხარისხის სამსახურის თანამშრომლები, არამედ სხვა ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

აღსანიშნავია ისიც, რომ პროგრამის აკადემიური პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, იღებს მისგან რეკომენდაციებს, რაც,

თავის მხრივ, ეყრდნობა, ერთი მხრივ, პროგრამის პერიოდული მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს, ხოლო, მეორე მხრივ, სტუდენტთა მიმდინარე გამოკითხვებს, რასაც, უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური ყოველსემესტრულად ახორციელებს.

აღსანიშნავია, რომ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ცდილობს მისი რეკომენდაციები და მხარდამჭერი ღონისძიებები ფოკუსირებული იყოს თვითშეფასების ან/და მონიტორინგის პროცესში გამოვლენილ სუსტ მხარეებზე, რაც, პროგრამას ეხმარება ხარისხის განვითარებაში.

ამდენად, შიდა ხარისხის მექანიზმი დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების ურთიერთდაკავშირებული კომპონენტებისგან შემდგარ ციკლს გულისხმობს, რომლის საბოლოო მიზანია კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება და ზოგადად, ხარისხის კულტურის ამაღლება.

2018 წლიდან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს შიდა კოლეგიური შეფასების მთოდოლოგია, რომლის თანახმადაც შიდა შეფასების სამიზნე ხდება საგანმანათლელო პროგრამა .

შიდა ხარისხის სისტემური კვლევების შეფასებების მეშვეობით ხდება პროგრამის (სწავლასწავლების), კვლევის, სერვისების, რესურსების შეფასება განსაზღვრული პერიოდულობით.

სისტემური კვლევები იძლევა მონაცემების შეგროვების, დინამიკაზე დაკვირვებისა და განვითარების ტენდენციების განსაზღვრის შესაძლებლობას.

შიდა ხარისხის კვლევების შეფასებების მიზნებისთვის გამოიყენება, როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი მეთოდები.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემით გათვალისწინებული კვლევის შედეგები გამოიყენება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისა და სამსახურების მიერ საკუთარი საქმიანობის სხვადასხვა ასპექტებისა და სერვისების დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნებისთვის. რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ადმინისტრაციის, ხარისხის სასახურის, წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებებით.

პროგრამის შეფასების პროცესში მონაწილეობას იღებს საგანმანათლებლო პროგრამების განმანხორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებული, ფაკულტეტის ადმინისტრაცია და უნივერსიტეტის ხარისხის უზურნველყოფის სამსახური. შემფასებელთა შორისაა უნივერსიტეტში დასაქმებული სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტები, ფაკულტეტებისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და არც თუ იშვიათად დამსაქმებლებიც კი. შერჩეული ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის დაწერამდე ჯგუფი დეტალურად იმეორებს საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესის პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვან საფეხურს.

ექსპერტთა დასკვნა ეგზავნება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და ეს უკანასკნელი ამზადებს საგანმანათლებლო პროგრამის ზოგად რეკომენდაციებს, აზიარებს პროგრამის განმახორციელებლებთან, რომლებიც ეტაპობრივად ახორციელებენ ცვლილებებს.

შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს ხარისხის შეფასების შიდა მექანიზმებს, იგი ეფუძნება ხარისხის დაგეგმვის, შეფასების, მონიტორინგის და გაუმჯობესების შესაბამისი პრინციპების უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს.

წარმოდგენილი საბაკალვრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავდა დაინტერესებული მხა-რეების (დამსაქმებლების, სტუდენტების, პროფესორების) მაღალი ჩართულობით, პროგრამის განხორციელებისა და განვითარებისათვის საჭირო მიმდინარე პროცესების ანალიზისა და მასზე მორგებული მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადებისათვის აუცილებელი თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა და უნარების ჩამოყალიბებით.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხის ამაღლების მიზნით, შემუშავდა და განისაზღვრა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სავალდებულო მოთხოვნები, დადგინდა შეფასების შედეგების ანალიზისა და წახალისების მექანიზმები.

შეხვედრებისას ინტერვიუებში იკვეთება, რომ საბაკალვრო - საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პირები იცნობენ ამ მექანიზმებს და მათ გამოყენებას ეფექტურად მიიჩნევენ პროგრამისა და თვითგანვითარებისათვის.

შიდა ხარისხის მექანიზმებით გამოვლენილი ხარვეზების განხილვა აქტიურად მიმდინარეობს თვითშეფასების სამუშაო ჯგუფის მიერ, ასევე ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე, მუშავდება რეკომენდაციები, რომლის საფუძველზეც ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები.

პერსონალის შეფასების შედეგები გათვალისწინებულია პროგრამის განვითარების პროცესში, რაც ზრდის პროფესორ-მასწავლებელთა პასუხიმგებლობას და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას.

პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი უზრუნველყოფს პროგრამის შემუშავების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის (აკადემიური პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი) მონაწილეობას, პროგრამის განხორციელების უწყვეტ მონიტორინგს და მუდმივ განვითარებას.

რეაკრედიტაციისათვის საგანმანათლებლო პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაში სამუშაო ჯგუფთან ერთად ჩართულნი იყვნენ დაინტერესებული მხარეები (დამსაქმებლები, სტუდენტები, პროფესორები) .

პროგრამის განმახორციელებელმა პროფესორ-მასწავლებლებმა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად იმუშავეს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე. რაც დასტურდება სამუშო ჯგუფთან გასუბრებით.

მათი თქმით, გადაიხედა სასწავლო კურსის სწავლის შედეგებსა და მათი მიღწევის აქტივობებს შორის კავშირი, შეფასების კრიტერიუმებში დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინების შედეგად, მოდიფიცირდა კურსების თემატიკა, სწავლებისა და შეფასების მეთოდები.

აღსანიშნავია, რომ ხარისხის შიდა შეფასების მიზნით გამოიყენება აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის ელექტრონული სისტემა; ის მოიცავს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის კომპონეტებს და ასახავს კვლევისა და შემოქმედებითი საქმიანობის, სწავლებისა და აკადემიური ჩართულობის მიმართულებებს. რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუების შედეგებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება - https://tsu.ge/assets/media/files/46/1132017_d1.pdf (https://bit.ly/3AKERiW) უკანასკნელი ნახვა 14.08.2021
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება (დანართი 15) ;
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგებთან პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენის ფორმების დამტკიცების შესახებ (დანართი 17)
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ (დანართი 17)
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა (დანართი 17)
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი (დანართი 17)
- სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ- პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესი და პირობები/შეთანხმება აფილირების შესახებ (დანართი 17)
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა და ინდიკატორები (დანართი 17)
- სილაბუსის შეფასების ფორმა და ინდიკატორები (დანართი 17)
- დამსაქმებელთა და პერსონალის გამოკითხვის კითხვარის ფორმები (დანართი 17)
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები (დანართი 17) ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხარისხის გარე უზრუნველყოფა გულისხმობს უნივერსიტეტში მიმდინარე სწავლა-სწავლების, კვლევის, უნივერსიტეტის მესამე მისიის (საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანა) და ინსტიტუციური ეფექტიანობის პერიოდულ შეფასებას და მისი გაუმჯობესების ხელშეწყობას ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ, რაც ასევე გულისხმობს უნივერსიტეტის საქმიანობის გამჭვირვალეობას და ანგარიშვალდებულებას შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების მიმართ. საქართველოში ხარისხის გარე უზრუნველყოფა ხორციელდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (https://eqe.ge/ka) მიერ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მეშვეობით. ავტორიზაცია გულისხმობს უნივერსიტეტის ინსტრიტუციურ, ხოლო აკრედიტაცია კი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას. საგანმანათლებლო საბაკალვრო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2012 წლის 26 ივლისს (გადაწყვეტილება #265). დასკვნაში წარმოდგენილი ექსპერტთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები ეტაპობრივად განხორციელდა. საბაკალვრო საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს გარე ხარისხის შეფასების ისეთ მექანიზმებს, როგორიცაა: კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, პროფესორ-მასწავლებელთა და სხვა დაინ-ტერესებულ მხარეთა გამოკითხვა, საგანმანათლებლო პროგრამების გარე ექსპერტიზა, განიხილავს მათ და მიღებულ რეკომენდაციებს იყენებს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით. გარე შეფასების მიზნით, წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (მიზნები, სწავლის შედეგები და კატალოგი/სტრუქტურა) გადაეგზავნა დარგის ექსპერტს, წარმოდგენილ დასკვნაში ექსპერტი აღნიშნავს, რომ პროგრამის მიზნებთან და ამოცანებთან მიმართებით კურსები ლოგიკურად და ადეკვატურად ფასდება. სწავლის შედეგებიც

ფოკუსირებულია იმ ცოდნაზე და უნარებზე რაც მომავალ სპეციალისტს ჭირდება. .
ასევე ექსპერტი მხარს უჭერს გადაწყვეტილებას, ტურიზმის და პოლიტიკური გეოგრაფიის კომპონენტის გაძლიერების შესახებ პროგრამაში, რაც განხორციელდა რეაკრედიტაციის პროცესში პროგრამის მომზადების პროცესში.

აღსანიშნავია, რომ დასკვნას არ ახლავს არც რეკომენდაცია და არც რჩევა, რაც პროგრამის ძლიერი მხარეა.

პროგრამა გადაეგზავნა ასევე პოტენციურ დამსაქმებლებს, რომლებთანაც ჩატარდა ინერვიუ-ფოკუს-ჯგუფში. მათი შეთავაზებები და წინადადებები ასახულია პროგრამის სტრუქტურაში.
მაგალითად, დამსაქმებლების რეკომენდაციით, კურსდამთავრებულის პრაქტიკული უნარების გაუმჯობესების კუთხით, პროგრამის კურსებში შეფასების კომპონენტში გაძლიერდა კომუნიკაციის უნარის შეფასება და სხვა..
გაძლიერდა საველე პრაქტიკის კურსის დატვირთვა, ერთ-ერთი დამსაქმებელის თქმით, ინტერვიუში, მათ ჭირდებათ ფიზიკურად ძლიერად მომზადებული ახალგაზრდები, რასაც ძალიან უწყობს პროგრამაში ამ კურსის არსებობა. აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგიფთან, ხარისხის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუებით.

გარე შეფასების მექანიზმებს შორის ასევე გამოყენებულია კურსდამთავრებულების უკუკავშირი. კურსდამთავრებულებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ მათთან ხდებოდა კომუნიკაცია, და უკუკავშირის შედეგად მიღებული ინფორმაცია ასევე აისახა პროგრამაში. აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ავტორიზაციის გადაწყვეტილება (N53 27.08.2018) სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ https://tsu.ge/assets/media/files/65/Quality_Assurance/abtorizaciis_gadawyvetileba_N53_27.08.2018.
- pdf
- აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება - https://tsu.ge/assets/media/files/17/akreditacia/sazgeo%20MA. pdf
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება https://tsu.ge/assets/media/files/46/1132017_d1.pdf უკანასკნელი ნახვა 14.08.2021
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება (დანართი 18).
- დარგის ექსპერტის მიერ პროგრამის გარე კოლეგიალური შეფასება;
- დამსაქმებლების ფოკუს ჯგუფის და კურსდამთავრებულების გამოკითხვის ანგარიშები.
- ინტერვიუს/ შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პროგრამის შეფასებაში ჩართულია საერთაშორისო ექსპერტი, წარმოდგენილ დასკვნაში არ არის რეკომენდაციები, რჩევები. ამასთან, პროგრამა შეფასებულია, როგორც „სტუდენტისათვის კარგი ცოდნის და უნარების მიმცემი“.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. თსუს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას ახდენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების პროცესში მონაწილეობას იღებენ: ა) სტუდენტები; ბ) პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური პერსონალი; გ) პოტენციური დამსაქმებლები; დ) პროგრამის კურსდამთავრებულები და სხვა; საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების პროცესში სტუდენტთა მონაწილეობა ითვალისწინებს: ა) სტუდენტთა მიერ სასწავლო კურსების და/ან სასწავლო პროცესის შეფასების კითხვარის შევსებას, როგორც ტრადიციული ფორმით, ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით; ბ)პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული კონცეპტუალური და ტექნიკური საკითხების განხილვაში მონაწილეობას; გ) ინტერვიუს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრებთან და სხვა. პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პერსონალის მონაწილეობა შეფასების პროცესში ითვალისწინებს: ა)ინტერვიუს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრებთან; ბ)მონაწილეობას პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული კონცეპტუალური და ტექნიკური საკითხების განხილვის პროცესში და სხვა; პოტენციური დამსაქმებლები შეაფასებენ პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვალიფიკაციას, შრომის ბაზრისთვის მათი მომზადების დონეს. კერძოდ, ისინი აფასებენ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა თეორიულ ცოდნას და პრაქტიკაში მისი გამოყენების უნარებს. პროგრამის განვითრებისათვის მნიშვნელოვანია პროგრამის შედარება ანალოგიურ უცხოურ საგანამანათლებლო პროგრამებთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პროგრამის ხელმღვანელისა და თვითშეფასების ჯგუფის გასუბრებებით ჩანს, რომ თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების საბაკალავრო პროგრამა „მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფია“ დაედარა შემდეგ უცხოურ პროგრამებს:

რატგერსის უნივერსიტეტს (აშშ) საბაკალავრო პროგრამისა „გეოგრაფია“

https://geography.rutgers.edu/academics/undergraduate-program/undergraduate-program

https://geography.rutgers.edu/academics/graduateprogram

არის თანხვედრა ასევე იაგელონის უნივერსიტეტის (პოლონეთი) საბაკალავრო პროგრამებთან „გეოგრაფია“ და „გეოგრაფია და სივრცითი დაგეგმარება“

https://studia.uj.edu.pl/en_GB/kierunki/wgig/geografia

https://studia.uj.edu.pl/en_GB/kierunki/wgig/geogra.gosp.prze

https://geo.uj.edu.pl/international/studies-in-cracow

https://geo.uj.edu.pl/international/departments

აღსანიშნავია, პროგრამის განვითრების პროცესში მნიშვნელოვანი იმის ხაზგასმა, რომ რომ შოთა რუსთაველის ფონდის და სხვა საგრანტო პროგრამაში გამარჯვებული პროექტების ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგები შემდეგ აისახება მაღალი სამეცნიერო სანდოობის მქონე საერთაშორისო პუბლიკაციებში.

აღსანიშნავი, ისიც, რომ ადმინისტრაციის მხრიდან პროფესორ-მასწავლებლებისათვის კვლევის ხელშეწყობის მიზნით ხდება მაღალ სამეცნიერო სანდოობის მქონე საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების დაბეჭდვის წახალისება და ფულადი ჯილდოს გაცემა. რაც ძალზედ მნიშვნელოვანია.

აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრების შედეგებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა (დანართი 8)
- განხორციელებული შეფასების შედეგების ანალიზი (დანართი 17)
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და პერსონალის გამოკითხვის კითხვარის ფორმები (დანართი 17)
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები (დანართი 17.2);
- შრომის ბაზრის კვლევა (დანართი 10)
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ინსტიტუციური განვითარების კვლევითი საგრანტო პროგრამების არსებობა, რომლის პრიორიტეტებად განსაზღვრულია კვლევა,
- ადმინისტრაციის მხრიდან პროფესორ-მასწავლებლებისათვის კვლევის ხელშეწყობის მიზნით მაღალ სამეცნიერო სანდოობის მქონე საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების დაბეჭდვის წახალისება და ფულადი ჯილდოს გაცემა.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო პროგრამა „მსოფლიო სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფია“, ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 46

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ნოდარ ფოფორაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი:

თათია დოღონაძე

შორენა წიკლაური

ირმა ქურდაძე

ვლადიმერ ბერაია